სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

01 სექტემბერი, 2023 წ.

**ბრძანება № 01-02/160**

**„2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 25 აგვისტოს №01–02/157 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 25 აგვისტოს №01–02/157 ბრძანების, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 01 სექტემბრის N1065907 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ,,2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 25 აგვისტოს №01–02/157 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტის 1.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.1. **აბიტურიენტთა** (შემდეგში - პირველსემესტრელი) **ბსუ-ში რეგისტრაცია** (პირადი დოკუმენტაციის წარმოდგენა, ხელშეკრულების გაფორმება და პირადი საქმის გახსნა) **განხორციელდეს** ბსუ-ს **ფაკულტეტების მიხედვით,** 2023 წლის **6 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით**, 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე (რეგისტრაციის ადგილი: ბსუ-ს I კორპუსი - ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, I სართული, მცირე სპორტული დარბაზი), **შემდეგი განრიგით:**

ა) **2023 წლის 06 სექტემბერი** - <u>ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის</u> საგანმანათლებლო პროგრამებზე (,,ბიოლოგია", ,,ეკოლოგია", ,,გეოგრაფია", ,,ქიმია", ,,ფარმაცია", ,,ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია", ,,მედიცინა", ,,სტომატოლოგია");

ბ) **2023 წლის 07 სექტემბერი** - <u>ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის</u> საგანმანათლებლო პროგრამებზე (,,მათემატიკა", ,,ფიზიკა", ,,კომპიუტერული მეცნიერებები", ,,დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების" ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა'', „სკოლამდელი განათლება");

გ) **2023 წლის 08 სექტემბერი** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე („სამართალმცოდნეობა“, „ევროპისმცოდნეობა“, „ფსიქოლოგია“, „საერთაშორისო ურთიერთობები“, „საჯარო მმართველობა“);

დ) **2023 წლის 11 სექტემბერი** - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საგანმანთლებლო პროგრამებზე („მშენებლობა“, „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერია“, „არქიტექტურა“, „აგრარული ტექნოლოგიები“, „ნავთობისა და გაზის ინჟინერია“);

ე) **2023 წლის 12 სექტემბერი** - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე („ქართული ფილოლოგია“, „ისტორია“, „ინგლისური ფილოლოგია“, „გერმანული ფილოლოგია“, „რომანული ფილოლოგია“, „სლავური ფილოლოგია“, „თურქოლოგია“, „ფილოსოფია“, „არქეოლოგია“, „ქართულ ენაში მომზადების (აზერბაიჯანულენოვანთათვის/სომხურენოვანთათვის) საგანმანათლებლო პროგრამა“);

ვ) **2023 წლის 13 სექტემბერი** - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე („ბიზნესის ადმინისტრირება“ და „ეკონომიკა“);

ზ) **2023 წლის 14 სექტემბერი** - ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის „ტურიზმის“ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

თ) **2023 წლის 15-16 სექტემბერი - ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე** ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აბიტურიენტებისათვის.

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „რექტორის ბრძანებები“), ფაკულტეტებისა და ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) საინფორმაციო დაფებზე.

3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტებს და სამუშაო ჯგუფის წევრებს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

**რექტორი, პროფესორი,** **მერაბ ხალვაში**